ალექსანდრე ყაზბეგი

ალექსანდრე ყაზბეგი 1848 წლის 8 იანვარს დაიბადა სოფელ სტეფანწმინდაში. მისი წინაპრები ჩოფიკაშვილები ყოფილან. მამა მიხეილი, ხევის სახელგანთქმული მოურავის, გაბრიელ ჩოფიკაშვილის ვაჟი იყო, დედა – ელისაბედ თარხნიშვილი. ალექსანდრეს მამას დიდი განათლება არ მიუღია, მაგრამ თავისი ენერგიულობითა და გამჭრიახობით ისე დაწინაურდა, რომ ხევის გამგებლად დანიშნეს და გენერლის წოდებაც მიიღო. ალექსანდრე ყაზბეგის ოჯახი თავის დროზე განთქმული ყოფილა სიმდიდრითა და ხელგაშლილობით. ალექსანდრე მშობლების ერთადერთი ვაჟი იყო (დედას პირველი ქორწინებიდან სამი ქალი ჰყავდა) და ფუფუნებაში იზრდებოდა. მის აღზრდასა და განათლებაზე რამდენიმე აღმზრდელი ჰყავდათ აყვანილი.

ალექსანდრე ყაზბეგი პატარაობიდანვე სიცელქით გამოირჩეოდა. ამის გამო დედამ მეტსახელად „მოჩხუბარიძეც“ კი შეარქვა. სწორედ ეს მეტსახელი გამოიყენა შემდეგ მწერალმა თავის ლიტერატურულ ფსევდონიმად.

ალექსანდრე ყაზბეგი 1859 წლის ოქტომბერში თბილისში ჩამოიყვანეს და ჰაკეს პანსიონში მიაბარეს, ხოლო შემდეგ კი კანონიჩის პანსიონში გადაიყვანეს, სადაც მან 1863 წლამდე დაყო. აქ იგი ეუფლებოდა მუსიკასა და ფრანგულ ენას. 1865 წელს, როდესაც მომავალი მწერალი მეოთხე კლასში სწავლობდა, ოჯახს დიდთოვლობამ შეუშალა ხელი შვილი თბილისში ჩამოეყვანათ. ერთი წლის შემდეგ მშობლებმა გადაწყვიტეს მისი პანსიონში აღდგენა, მაგრამ ვერ მოახერხეს. 1866 წელს კი ალექსანდრე ყაზბეგს მამა გარდაეცვალა. დედამ და ახლობლებმა გადაწყვიტეს, 18 წლის ალექსანდრე დაექორწინებინათ და მისთვის ოჯახის გაძღოლაც მიენდოთ, მაგრამ მომავალი მწერალი სწავლის გასაგრძელებლად მოსკოვში გაემგზავრა და სამეურნეო აკადემიაშიც ჩაირიცხა.

ავადმყოფობის გამო 1870 წელს აკადემია მიატოვა, საქართველოში დაბრუნდა და თავის მამულში დასახლდა. 1871 წელს ალექსანდრემ მეცხვარეობას მოჰკიდა ხელი და მწყემსებთან ერთად დადიოდა მთაში. მისმა ამგვარმა საქციელმა საზოგადოებაში საყოველთაო გაკვირვება გამოიწვია.

1879 წელს ალექსანდრე ყაზბეგმა მიატოვა ხევი და თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. მან ჯერ სტამბის გახსნა მოინდომა, მაგრამ ვერ მოახერხა და 1880 წელს ქართულ დრამატულ დასში ჩაირიცხა მსახიობად. მწერალი დავით კლდიაშვილი თავის მემუარებში („ჩემი ცხოვრების გზაზე“) წერდა, რომ ალექსანდრე ყაზბეგი „ლეკურის გასაოცარი მოცეკვავე იყო, უცნაური, ლამაზი რამ იყო მისი თამაში ორი ხანჯლით. მაყურებელს თან ხიბლავდა მისი სიმარდე, თან შიშს გვრიდაო“.

1880 წელს ალექსანდრე ყაზბეგმა თანამშრომლობა დაიწყო გაზეთ „დროებაში“. იგი ექვსი წლის განმავლობაში წერდა და აქვეყნებდა თავის მოთხრობებს. ქართველმა მკითხველმა ალექსანდრე ყაზბეგი სწორედ „დროების“ მეშვეობით გაიცნო, როდესაც რედაქტორმა სერგეი მესხმა დაბეჭდა მისი წერილი „მოხევენი და მათი ცხოვრება“. მალე ამავე გაზეთში ნაწილ-ნაწილ გამოქვეყნდა მოთხრობა „ელგუჯა“.

1893 წლის 10 დეკემბერს ალექსანდრე ყაზბეგი თბილისში გარდაიცვალა. მისი ცხედარი სტეფანწმინდაში (დღევანდელი ყაზბეგი) გადაასვენეს. ერთ-ერთი მისი თანამედროვე წერდა: „ალექსანდრე ყაზბეგი დაასაფლავეს დიდის დიდებით. გვირგვინებით, კარგი და ლამაზი სიტყვებისა და ლექსების წარმოთქმით. მისი გვამი მთელმა თბილისის ქართველობამ ვერამდის მიაცილა. იქ გამოეთხოვნენ სამუდამოდ. გამოთხოვების შემდეგ გვირგვინებით შემკული ბალდახინით სოფელ ყაზბეგისკენ წაასვენეს და იქვე დაასაფლავეს“.

ქართველმა საზოგადოებამ ალექსანდრე ყაზბეგს ძეგლი აუგო და 1948 წელს დიდი პატივით აღნიშნა მწერლის დაბადებიდან 100 წლისთავი.

პირველი ნაწარმოები, რომელიც მან გამოაქვეყნა, იყო მოთხრობა „ელისო“. 1881 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა „ელგუჯა“, ცოტა ხნის შემდეგ – „მამის მკვლელი“, „ნამწყემსარის მოგონებანი“... ყაზბეგის ყოველი ნაწარმოების გამოსვლას ხალხი უდიდესი აღტაცებით ხვდებოდა, თუმცა კრიტიკოსებთანაც ჰქონდა ხშირი შეხლა-შემოხლა. ალექსანდრე ყაზბეგის შესანიშნავი ნაწარმოებების უმრავლესობა რუსთა ბატონობის წინააღმდეგ ქართველი და კავკასიელი ხალხების ბრძოლას ეძღვნებოდა. მტერთაგან გათავისუფლებული სამშობლო ყაზბეგს სამოთხედ ესახებოდა. რუსების მეხოტბე დაქირავებულ კრიტიკოსთა უსაფუძვლო თავდასხმებიც ყაზბეგის ეროვნული სულისკვეთების წინააღმდეგ იყო მიმართული

და ჩვენი დიდი ბელეტრისტის შემოქმედების განქიქებას ემსახურებოდა. ისევე როგორც ილია ჭავჭავა-ძემ, ვაჟა-ფშაველამ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა და ბევრმა სხვამ, ალექსანდრე ყაზბეგმაც გაიზიარა პრიორიტეტულად განწყობილი მწერლის მძიმე ხვედრი დაპყრობილ ქვეყანაში.

ალექსანდრე ყაზბეგი „დროების“ რედაქციაში თავგამოდებით მუშაობდა. ღამეებს ტეხდა, სტა-ტიებს ჩაჰკირკიტებდა. სერგეი მესხის გარდაცვალების შემდეგ კი ამ გაზეთს ჩამოშორდა. ახლა მისი ნაწერები უფრო ხშირად „ივერიასა“ და გაზეთ „თეატრში“ ქვეყნდებოდა. გაზეთი „თეატრი“ აქვეყნებდა მის მიერ ხევში ჩაწერილ ხალხურ ქმნილებებსაც.

პირველი მოთხრობა „ციცკა“ 1880 წელს გამოაქვეყნა. თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასა“ და ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. 1881 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა „ელგუჯა“, რომელმაც იმთავითვე დიდი მწერლის სახელი მოუპოვა. ამას მოჰყვა მოთხრობები და რომანები „ელისო“, „მამის მკვლელი“ (1882), „ციკო“ (1883), „განკიცხული“, „ხევისბერი გოჩა“(1884), „მოძღვარი“ (1885) და სხვ. 1886-1887 წლებში მძიმედ დაავადდა, 1890 წლიდან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იწვა და იქვე გარდაიცვალა.

ალექსანდრე ყაზბეგი განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნებდა ქართული თეატრისადმი. აკაკი წერეთლის მიწვევით 80-იან წლებში იგი ქართული თეატრის დასის წევრი გახდა. მაყურებელი აღტაცებაში მოუყვანია მის მიერ შესრულებულ ცეკვას „ხანჯლური“... ხშირად მონაწილეობდა ქუთაისში, ბათუმში, გორში გამართულ თეატრალურ წარმოდგენებში. 1883 წელს გამოქვეყნდა მისი „მოძღვარი“. მომდევნო წლები კი თითქმის მთლიანად თეატრს მიუძღვნა.

გამუდმებულმა შრომამ, სიღატაკემ და შევიწროებამ მალე გატეხა მწერლის ჯანმრთელობა. აკაკი წერეთელი იხსენებდა, როგორ მიჰყიდა უსახსროდ დარჩენილმა ყაზბეგმა საგვარეულო სახარება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, როგორ გაყიდა დედის დანატოვარი ძვირფასი ქირმანშალი სულ რაღაც 15 მანეთად. ნაწერი რვეულიც დაუგირავებია, ხშირად ბინის ქირის ფული არ ჰქონია.

ალექსანდრე ყაზბეგის პირადი საარქივო ფონდი

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ს. ალიბეგაშვილის სამადლობელი წერილი თეატრალური მუზეუმის დირექტორ გრიგოლ ბუხნიკაშვილისა და თანამშრომლობისადმი, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ უსასყიდლოდ მნიშვნელოვანი მასალის გადაცემასთან დაკავშირებით.
   1948 წ. 10 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. 2 გვ.

2. საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმის დირექტორის გ. ბუხნიკაშვილის ოფიციალური მიმართვა ყაზბეგის რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისადმი, ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მასალის გაგზავნის შესახებ.
   1948. წ. 11 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

3. თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სწავლული მდივნის გ. ჩაჩაშვილის ხელწერილი, ალ. ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რწმუნებულ გრიგოლ შადურისთვის ფოტო და სხვა მასალების „ალექსანდრე ყაზბეგის სასცენო მოღვაწეობა“ მიღებასთან დაკავშირებით.
   1948 წ. 11 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

4. თეატრალური მუზეუმის დირექტორის გ. ბუხნიკაშვილის ოფიციალური წერილი ხელოვნების საქმეთა სამმართველოსადმი, ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით.
   1948 წ. 17 სექტემბერი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

5. საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის საიუბილეო კომიტეტის სხდომის ოქმი, ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავ გამოფენასთან დაკავშირებით.
   1948 წ. 4-22 ივლისი. თბილისი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ნ. თოფჩიშვილი. 1 გვ.

6. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბრძანება, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დიდი ქართველი მწერლის ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს გამართვასთან დაკავიშრებით.
   1948 წ. 12 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ხელს აწერს ხელოვნების საქალაქო სამმართველოს უფროსის მოადგილე პ. კანდელაკი. 2 ეგზ. 1 გვ.

7. კურორტ „დარიალის“ სანატორიუმის მიერ გაცემული ცნობა ს. გერსამიასადმი, ალ. ყაზბეგის იუბილესთან დაკავშირებით ექსპონატების სანატორიუმში საგამოფენოდ ჩატანის შესახებ.
   1948 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

8. შალვა გოზალიშვილის მეცნიერულ-ტექნიკური აღრიცხვა (ნუსხა), ალ. ყაზბეგის დრამატული თხზულებებისა და ავტოგრაფების შესახებ (მასალა დაცულია საქართველოს სახემწიფო მუზეუმში).
   1948 წ. ხელნაწერი. მელანი. 71 გვ.

9. საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის სწავლული მდივნის ს. გერსამიას მოხსენებითი ბარათი ამავე მუზეუმის დირექციისადმი, მის მიერ მივლინებაში ყოფნის დროს ჩატარებული სამუშაოების შესახებ, ალ. ყაზბეგის 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით.
   1948 წ. თბილისი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.

10. ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი VII სამეცნიერო სესიის ბროშურა.
1948 წ. თბილისი. სტამბური. 2 ეგზ. 1 ც.

11. ალ. ყაზბეგის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის საექსპოზიციო გეგმა თემაზე: „ალექსანდრე ყაზბეგი – მოხევე და თეატრი“.
უთარიღო. ს. გერსამის ავტოგრაფი. მელანი. 4 გვ.

12. ალექსანდრე ყაზბეგის ჩანაწერი ქართული დრამატული თეატრისთვის პიესების დაწერესთან დაკავშირებით.
პირი: ანტონოვი, ერისთავი, მაკო საფაროვა.
უთარიღო. ნაბეჭდი. ჩასწორებებით. 4 გვ.

პროგრამები

13. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა თეატრალური კოლექტივის მიერ განხორციელებული სპექტაკლის, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილის“პროგრამა.
1946-1947 წწ. სტამბური. 1 ც.

14. ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს პროგრამა.
1948 წ. 2 ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

მოსაწვევი ბარათები

15. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლიტერატურის კაბინეტის მიერ გამართული ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1948 წ. 28 სექტემბერი. თბილისი. სტამბური. 1 ც.

16. საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მიერ გამართული ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პლენუმის მოსაწვევი ბარათი.
1948 წ. 29 სექტემბერი. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

17. ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1948 წ. 2 ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

18. საქართველოს მწერალთა კავშირის სომხური სექციის მიერ გამართული ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1948 წ. 12 ოქტომბერი. თბილისი. სტამბური. ქართულ და სომხურ ენებზე. 1 ც.

პრესა

19. ქართულ პრესაში – „დროებასა“ და „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატიები ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ (1883-1884 წწ.).
1904 წ. ხელნაწერი. ამოწერილი სათეატრო მუზეუმის თანამშრომლების მიერ. მელანი. ფანქარი. 18 გვ.

ალექსანდრე ყაზბეგის ფოტოარქივი

1. ალექსანდრე ყაზბეგი. პორტრეტი. 12X13. ასლი. 1 ც.
2. ალ. ყაზბეგი. პორტრეტი. 12X13. 15X22. ასლი. 1 ც.
3. ალ. ყაზბეგი. პორტრეტი 17X22. 14X19. 9X15. 7X8. ალექსანდრე როინაშვილის ფოტო. დაზიანებული. ორიგინალი. 7 ც.
4. ალ. ყაზბეგი გიმნაზიაში სწავლის დროს. 10X16. 18X24. ასლი. 2 ც.
5. ალ. ყაზბეგი ახალგაზრდობაში. ნახატი. 19X25. 13X19. ასლი. 3 ც.
6. ალ. ყაზბეგი მთელი ტანით თოფით ხელში. 19X28. 12X18. ასლი. 4 ც.
7. ალ. ყაზბეგი პორტრეტი. 17X23 12X15. 911. 11X18. ასლი. 7 ც.
8. ალ. ყაზბეგის როლში ვასო გოძიაშვილი. 8X10. ასლი. 1 ც.
9. ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. ალ. როინაშვილის ფოტო. დაზიანებულია. 12X18. 1 ც.
10. ალ. ყაზბეგის საცხოვრებელი სახლი ქალაქ თელავში. 1887-1889 წწ. 11X16. 12X17. ასლი. 2 ც.
11. ალ. ყაზბეგის ძეგლი მუზეუმის ეზოში ყაზბეგში. 10X14. 10X14. ორიგინალი. 2 ც.
12. ალ. ყაზბეგი, მისი მამა მიხეილ გაბრიელის ძე ჩოფიკაშვილი და დედა ელისაბედ თარხნიშვილი. 18X24. ასლი. 1 ც.
13. ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი ყაზბეგში. 18X24. 13X17. ასლი. 3 ც.
14. ალ. ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრები და სხდომები ყაზბეგში. 1948 წ. 13X17. ორიგინალი. 14 ც.

გიორგი შავგულიძე

გიორგი (ჟორა) შავგულიძე დაიბადა 1910 წელს ქუთაისში. 1928 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. იმავე წელს შევიდა ქუთაისის დრამატულ თეატრში, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. სცენის თანამშრომლად მიღებულმა ახალგაზრდამ მალე მიიპყრო დიდი ხელოვნის, კოტე მარჯანიშვილის ყურადღება და ქუთაისში ყოფნის დროსვე რამდენიმე მნიშვნელოვანი როლი მიანდო. 1930 წელს გიორგი შავგულიძე თბილისში გადმოვიდა მეორე სახელმწიფო დასთან ერთად და სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. ოცი წლის განმავლობაში შესრულებული აქვს სახასიათო და შთამბეჭდავი როლები. მისი სცენური როლებია: ხარიტონი – პოლიკარბე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, იულიუსი – უილიამ შექსპირის „იულიუსი და კლეოპატრა“, საიათნოვა, ჭყონდიდელი ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“, „დავით აღმაშენებელი“, იასონი – შალვა დადიანის „ნინოშვილის გურია“, აბესალომი – დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, ნიკიფორე – ილო მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“, კასტალსკი – ალექსანდრ აფინოგენოვის „შიში“, გაიდაი – ალექსანდრ კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა“, ტრიფონი – იონა ვაკელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, რუვიშ – კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“, კინტო – ზურაბ ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, მიროს – ვასო პატარაიას „სანაპიროზე“, გიორგი – მიხეილ მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, პოჩტმეისტერი – ნიკოლოზ გოგოლის „რევიზორი“, ფერხადი – ნაზიმ ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“, გრაფ ლეისტერი – ფრიდრიხ შილერის „მარიამ სტიუარტი“, მიხეილი – რევაზ ებრალიძის „ნანა“, თორნიკე – რეზო თაბუკაშვილის „რას იტყვის ხალხი“, მაურისიო – ალეჰანდრო კასონას „ხეები ზეზეურად კვდებიან“, ლორდ ჰასტინგსი, კასიო – უილიამ შექსპირის „რიჩარდ III“, „ოტელო“, კოხტა – მარიკა ბარათაშვილის „მარინე“, ლუარსაბი – ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, ზვეზდიჩი – მიხაილ ლერმონტოვის „მასკარადი“ და სხვ.

მნიშვნელოვანია მის მიერ შესრულებული კინოროლები: პავლე ღუდუშაური – რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის „დიადი განთიადი“, ნოდარი – ნიკოლოზ შენგელაიას „გიორგი სააკაძე“, არჩილი – დავით რონდელის „კოლხეთის ჩირაღდნები“, ილო – ბატალიონის უფროსი -- „ხიდი“, ნიკო – ვახტანგ ტაბლიაშვილისა და შალვა გედევანიშვილის „ქეთო და კოტე“, ერემო – ნიკოლოზ სანიშვილის „ბედნიერი შეხვედრა“, დავით გურამიშვილი – ნიკოლოზ სანიშვილისა და იოსებ თუმანიშვილის „დავით გურამიშვილი“, რაშიდი – ნიკოლოზ სანიშვილის „გაზაფხული საკენში“, სიმონ ლომიძე – დავით რონდელის „მწვერვალთა დამპყრობნი“, ზაალ ერისთავი – ლეო ესაკიას „ბაში-აჩუკი“, არჩილი – სიკო დოლიძისა და ლევან ხოტივარის „ჭრიჭინა“, აპარეკა – ნიკოლოზ სანიშვილის „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, გრძნეული – სერგო ჭელიძის „ცისკარა“, კლიმიაშვილი – ნიკოლოზ სანიშვილის „ქალის ტვირთი“, კოსტა – ლევან ხოტივარის „მე ვიტყვი სიმართლეს“, ასლან-ბეი – დავით რონდელის „მამლუქი“, აბდელკადერი – შალვა გედევანიშვილის „ზვიგენის კბილი“, მერაბი – ლევან ხოტივარის „განაჩენი“.

1952 წელს ნიკიფორე უკლებას (ილო მოსაშვილის „მისი ვარსკვლავი“) როლის შესრულებისთვის მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია.

1943 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1955 წელს – საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

გიორგი შავგულიძე ტრაგიკულად დაიღუპა 1959 წლის 13 აპრილს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მსახიობის საფლავზე დგას ბრინჯაოს სკულპტურა, რომლის ავტორია გიორგი შავგულიძის ვაჟიშვილი ნურადინ (ნუკრი) შავგულიძე. სკულპტურაზე ვკითხულობთ ნაწყვეტს პოეტ მიხეილ ქვლივიძის ცნობილი ლექსიდან, რომელიც მან მსახიობის ხსოვნას მიუძღვნა:

რამდენი ჩვენგან წასული კაცის
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს,
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც,
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.